№ 138 ივლისი 2, პარასკევი 1893 ივლისი 2, პარასკევი № 138

F1/3 N 12912


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეთორმეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნავთლის ქუჩაზე, ათთიახის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება

## კრილოვის არაკები

თარგმანი

აკაკი წერეთლის-მიერ

ფასი 30 კ. უდით 40 კ.

ეს წიგნი მოწონებულია კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველის რჩევისაგან შესაძენად სამასწავლებლო და სამოსწავლო ბიბლიოთეკებისათვის საშუალო და დაბალ სასწავლებლებში და აგრეთვე მიღებულია ხელ-საწყობად ქართულის ენის სწავლებისათვის იმავე სასწავლებლებში. ვინც ერთად დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა—დაეთმობა 20°/₀.

(5—4)


ტფილისი, 1 ივლისს

ხშირად გვესმის საყვედური' რომ გაზეთები ზოგჯერ ისეთს ამბებს ბეჭდვენ, რომელიც ნამდვილი არ არისო. ხშირად ეს მართალი არის, მაგრამ, ამ შემთხვევაში, დამნაშავე რედაქციები-კი არ არიან, არამედ ის ვაჟბატონები, რომელნიც აწვდიან ამბებს და თვითონ რედაქციები-კი იმედოვნებენ, რომ საზოგადო საქმეში მხოლოდ საზოგადო ინტერესებით ჰხელმძღვანელობს კორესპონდენტი, და არა თავის კერძო სიმპატიითა და ანგარიშებით.

არ არის ცას ქვეშ ისეთი გაზეთი, რომლის შეცდომაში შეყვანა არ შეიძლებოდეს. შეცდომა ყოველგან შესაძლებელია და ზოგჯერ მისატევებელი, მაგრამ; როდესაც მომწერნი ამბისა განგებ და განზრახ ტყუილს იწერებიან—ეს-კი აღარ ვარგა! გაზეთებს, ვინ იცის, რამდენი ათი ათასი კაცი კითხულობს, და ამას რატომ არა ჰფიქრობენ ზოგიერთნი მოამბენი, რომ რიცხვ-მრავალ საზოგადოების განგებ შეცდომაში შეყვანა, შავის თეთრად ჩვენება და თეთრის გაშავება—უკიდურესი დანაშაულობაა?!!

გაზეთს, რასაკვირველია, არ შეუძლია, რომ თითოეული მოწერილი ამბავი შეასწოროს, შეამოწმოს, გამოიძიოს და ნოტარიუსისაგან დამტკიცებული დაჰბეჭდოს. ამ გვარს ჯაფას უზომო ხარჯიც დასჭირდება და თითქმის შეუძლებელიც იქნებოდა. ამას გარდა, მოწერილს ამბავს ხშირად დროებითი, წუთიერი მნიშვნელობა აქვს და, თუ დაგვიანდა მისი დაბეჭდვა, მაშინ ერთ ბისტათაც აღარ ეღირება.

ამ შემთხვევაში გაზეთი მთლად თავის კორესპონდენტის ანაბარად არის, იმის კეთილ-სინიდისიერობაზეა დამყარებული. ხოლო ისეთი კორესპონდენტი, რომელსაც დაუმტკიცდება, რომ განზრახ მოუწერია ტყუილი და უმართლო ამბავი, სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს გაზეთის თანამშრომლობას, რადგან რედაქცია ერთს სტრიქონსაც ვეღარ დაჰბეჭდავს, იმის მოწერილს.

ერთმა, მაგალითად, კორესპონდენტმა მოგვწერა, რომ ესა-და-ეს კაცი გარდაიცვალა და დიდის ამბით დაასაფლავესო, მაშინ-როდესაც ვიკითხეთ მიცვალებულის ნაცნობებში და აღმოჩნდა, რომ იმ კაცს ფრჩხილიც არ წამოსტკივებოდა, არამც თუ გარდაცვალებულიყო. მეორემ მოგვწერა, რომ ამასა და ამას გზაში დაუხვდნენ ავაზაკები და დასჭრეს სასიკვდილოდაო. აღმოჩნდა, რომ ამ ამბის მომწერს ვაჟბატონს მეტნარი სიცრუვე მოეწერნა. მესამემ მოგვწერა, რომ ესა-და-ეს ცნობილი კაცი ამ ჟამად აქა-და-აქ იმყოფებაო და იკვლევს ასეთსა და ასეთს საგნებსაო. კარგია კიდევ, რომ ჩვენ ხელი ვიცანით ამ შენიშვნის ავტორისა და მივხვდით, რომ კორესპონდენტი განზრახ ცდილობდა, შეცდომაში შეეყვანა რედაქცია, რომ იმ ცნობილს კაცს ფიქრადაც არ მოსვლოდა იქ წასულიყო, სადაც კორესპონდენტმა ის გაამგზავრა რაღაც თავის კერძო ანგარიშებისათვის.

ეგ რად გინდათ. ხშირად ზოგიერთს კორესპონდენტს, არ ვიცით, რა ანგარიშით, უყვარს გაზვიადება რომელისამე ამბისა, ქება ერთისა და ძაგება მეორესი უსაბუთოდ, საქმის გამოუძიებლად. ამისთანა მოამბეს ჰგონია, რომ გაზეთის საქმეა აქოს და ადიდოს ივანე, „ვაშა“ უძახოს პეტრეს, ფიანდაზად გაეშალოს პავლეს; ან სამარცხვინო ბოძზედ გააკრას მიკირტუმა, გაჰლანძღოს მარტირუზა და თავსლაფი დაასხას გეურქას. ეს შეცდარი აზრია. გაზეთს სახეში აქვს და უნდა ჰქონდეს ყოველთვის საზოგადო ამბავი, საქვეყნო გარემოება, საერთო ტკივილი, ზოგადი ბოროტება. გაზეთს შეუძლიან აქოს და ადიდოს მხოლოდ საერთო კეთილი საქმე, საქვეყნო კეთილი დაწყობილება, კეთილი მისწრაფებანი და ებრძოლოს საერთო ბოროტებას, საერთო სენს, ქვეყნის მჭამელას, საზოგადოების გამაწბილებელ, გამრყვნელ და დამამხობელ ზოგადს ვითარებას. მწერლობასა და ლიტერატურას ივანე და პეტრე-კი არა ჰყავს სახეში,—მთელი კრებული, მთელი საზოგადოება, მთელი ქვეყანა და მისი ავი და კარგი აქვს, ანუ უნდა ჰქონდეს, გათვალისწინებული და ყოვლის ძალითა და ღონით საერთო კეთილს ესარჩლებოდეს, ხოლო ბოროტს ებრძოდეს, უმკლავდებოდეს.

შიმშილობააო, გვწერდა ერთი კორესპონდენტი, საქართველოს ამა და ამ კუთხეშიო. შიმშილობა, დამშევა ქვეყნის თუნდ ერთის კუთხისა დიდი უბედურებაა, დიდი განსაცდელი, დიდი რისხვაა და ამისთანა ამბის მოსაწერად სიფრთხილეა საჭირო. აღმოჩნდა ბოლოს, რომ ეს ამბავი გაზვიადებული იყო, მეტად შავისა და ბნელის ფერადებით აწერილი და მოუსავლობა, პურის ცოტა თუ ბევრი ნაკლებობა—დამშევად დასახული. ამა და ამ კაცმა ცუდი და მავნებელი ფქვილი გაჰყიდაო, ამან-კი კარგი ფქვილი მოიტანა და ისე გაჰყიდა, როგორც თვითონ დაუჯდაო. ამას მოჰყვა ქება და დიდება ერთისა და მეორისა, ძაგება და ავად ხსენება მესამესი და მეოთხესი. ნამდვილად-კი აღმოჩნდა, რომ ქებულმა-კი არ გაჰყიდა კარგი ფქვილი, არამედ ძაგებული ჰყიდდა და ჰყიდდა იაფად, იმ ფასად, როგორც დასჯდომოდა თვითონ და ქებულს უვარგისის ფქვილის გაყიდვისათვის პოლიციის ბოქაულმა ოქმი შეუდგინა, სამაზრო მკურნალმა გამოიკვლია და ყოვლად მავნებელი აღმოჩნდა მისგან გაყიდული და ერთმა სოფლის საზოგადოებამ განაჩენი შეადგინა, რომ ქებულისაგან ნაყიდ ფქვილით ხალხი ავად დახდა და კინაღამ დაიხოცა.

კიდევ ვიმეორებთ, გაზეთის მოამბეობა მძიმე და ყოვლად საფრთხილო, პასუხ-საგებელი მოვალეობაა და ის, ვინც ტყუილს, გაზვიადებულს, განზრახ შეთხზულს ამბებს იწერება, დიდს დანაშაულს სჩადის მთელის საზოგადოების წინაშე. გაზეთი კერძო ანგარიშებისა და პირადის ინტერესების ასპარეზად ვერ გადიქცევა. ჯერ პირადის ანგარიშების აყოლა კერძო კაცისათვისაც-კი საძრახისია და მავნებელი, მის ღირსების შემბღალველი, და გაზეთმა ხომ არაოდეს ახლოც არ უნდა მიიკაროს ამისთანა ანგარიშები და პირადობა. გაზეთის ყოველი თანამშრომელი, მათ შორის, კორესპონდენტიც,ვალდებულია [illegible] ვოს. გაზეთს ამშვენებს და სახელს უხვეჭს, სხვათა შორის, კრებული ისეთ თანამშრომელთა და მოამბეთა, რომელნიც, უპირველეს ყოვლისა, გარეშე პირადობისა და კერძო ანგარიშებისა, ემსახურებიან საზოგადო სიმართლეს, ჭეშმარიტებასა და ქვეყნის საერთო სიკეთეს. ეს არ უნდა დაივიწყონ ზოგიერთმა ჩვენმა კორესპოდენტებმა და მოამბეებმა.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის საგუბერნიო მკურნალის თანამდებობის აღმასრულებ-

## ფელეტონი

### მონოპოლისტები და ბირჟის ბატონები.

(წერილი ლონდონიდამ)

ჩვენ მამა-პაპისათვის რომ გეთქვ`, მილიარდი ქონებაო, ასე ეგონებოდა... ეგონებოდა-კი არა, ვერც-კი მოიფიქრებდა, რომ შესაძლოა კაცს მილიარდის ქონება ჰქონდეს. წინად ასე ჰგონებდნენ, რომ მილიარდი ისეთი რიცხვია, რომელსაც ვარსკვლავთ-მრიცხველნი თუ ხმარობენ, როცა უნდათ აღრიცხონ, რა მანძილია დედამიწიდამ მზემდე, მარეხ-ოტარიდამდე და ან სხვა ამისთანა მნათობებამდე. ან კიდევ, როცა შეგირდებს ასწავლიან სკოლაში აღრიცხვას და ერთს რომელსამე ციფირს უმატებენ ნოლებს მარჯვენა მხრისაკენ, შეიძლება ამ მიმატებით ბოლოსა და ბოლოს გამოვიდეს მილიარდი და სხვა ამისთანა, აღსარიცხვად ძნელი და გონებით წარმოუდგენელი ციფრიო.

ახლა-კი რას ვხედავთ? უცბად გაჩნდნენ ისეთნი კაცნი, რომელთა ქონებაც ათი და ასი მილიონი-კი არ არის, არამედ რამდენიმე მილიარდია. ვხედავთ, რომ ეს ამოდენა, ზღაპარშიაც-კი არ გაგონილი, სიმდიდრე თითოეულს გვარს შეუძენია და მოუგროვებია არა რამდენისამე საუკუნის განმავლობაში, არამედ სულ რამდენსამე ათს წელიწადში, თითქმის ჩვენს თვალ-წინ. ყველა ეს ვანდერბლიტები, გულდები, ასტარები, მიკაები, კორნელები, ან თვითონვე არიან დამწყებნი დიდის სავაჭრო საქმეებისა, ან მათი მამანი. მილიარდების პატრონთა შორის სულ ყველაზე უძველესი ფირმა აქვთ როტშილდებსა, რომელთაც დაიწყეს თავისი საქმეები ნაპოლეონ I-ის დროს, ამ საუკუნის დამდეგს. მერე იცით, რა შემოსავალი აქვს წელიწადში ამ ერთს დუქნის ჯიბეგასქელებულებისას? ესენი იღებენ წელიწადში ნაღდს მოგებას 123 მილიონ მანათს! თითოს მოსდის—10,250,000 მან. *)

როგორ და რა გზით შოულობენ ამოდენა ქონებას? რა ამბავია, რომ ერთი ამისთანა მეფე ოქროვერცხლისა იღებს წელიწადში 10 მილიონზე მეტს შემოსავალს, მაშინ როდესაც დასავლეთ-ევროპისა და ჩრდილო-ამერიკის შტატების მცხოვრებლის ორთა-შუა შემოსავალი ოცს თუმანს არ აღემატება წელიწადში?

ბ-ნ G. Mulhal-ის „The Dictionary of statistics-ით, ერთის წლის ნაჭირნახულევი ევროპისა, ამერიკის უფრო განათლებულ სახელმწიფოთა, ავსტრიალიისა და კაპის ახალ-შენებისა ღირს სულ 90 მილიარდი. თითოეულ მცხოვრებზე მოდის 209 მან. ცოტა ნაკლები. აქედამ სჩანს, რომ თითოეული ზემოხსენებული მდიდარი იღებს წელიწადში 49,043 კაცის შემოსავლის ოდენს, ხოლო ყველანი ერთად იმდენს იღებენ, რამდენსაც იღებს 588,416 კაცი. ეს ერთი დუქნის მეტის-მეტ მდიდრებისა. ახლა რამდენი ასი და ათასი მილიონერია კიდევ? აი, მაგალითსაც მოგახსენებთ.

პარიჟში არის დიდი მაღაზიები ლუვრისა, ბონმარშესი, სიმარიტენისა, პრინტანისა და სხვ. ოცი ამისთანა მაღაზია მილიარდ ფრანკს ატრიალებს ყოველ-წლივ. იმათ საქმეებს უნდება 10,000 კაცი. შუათანა შეძლების კომერსანტები ამბობენ, რომ ამ 20 სავაჭრო სახლს უნდება ის, რაც ოცისა და ორმოცის წლის წინად ეყოფოდა საქმედ 20,000 მაღაზიას. თითო მოატრიალებდა 50,000 ფრანკს წელიწადში და წმინ-

*) იხ. Varigy, „Les grandes fortunes aut Etôts—Unis et en Angleterre“.

ლად დანიშნულ იქმნა ტფილისის საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ქიქოძე.

*** 27 ივნისს ვორონცოვის ქუჩაზედ, სახლში № 2, მეექვსე ნაწილში, გარდაიცვალა ხუნაგით სამის წლის ქალი სპარსეთის ქვეშევრდომისა სულთან ჯაფარასი.

*** გუშინ-წინ ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე გაზეთ „Т. Л.“-ის რედაქტორის ხეჩატუროვისა და ამავე გაზეთის თანამშრომლის ბ-ნ მიხეილოვისა, რომელთაც ბრალდებოდათ, რომ გაზეთის საშუალებით შეურაცხჰყვეს ხონის სასტატო სემინარიის მასწავლებლები და კერძოდ დირექტორი ამავე სემინარიისა დ. ს. ს. სოკოლოვი. სამოსამართლო პალატამ გადასწყვიტა: რედაქტორს „Т. Л.“-სა გადახდეს ჯარიმა 25 მან., ხოლო ბ-ნ მიხეილოვს, ავტორს ზემო-აღნიშნულ წერილისას, მიესაჯოს შვიდის დღით ციხეში დაპატიმრება.

*** ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების რამდენისამე დღის წინად დეპეშები მოგვივიდა და გვთხოვდნენ: ბარათაშვილის კუბოს გვირგვინები დაადგით და ფულს გამოგიგზავნითო: ერევნის ქართველობა 10 მან, კიევისა 11 მან; ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა 20 მან; მოსკოვის ქართველობა 15 მან; ყარსისა 15 მან; იალტისა 15 მან; ხარკოვისა 20 მან; ვარშავასი 10 მან. და ფოთისა 20 მანეთსაო. დეპეშები გადაეცა „წერა-კითხვის“ საზოგადოებას და ყველას თხოვნა შესრულებულ იქმნა. ვარშავისა, ხარკოვისა და ფოთის ქართველობისაგან „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ ჯერ არ მისვლია აღთქმული ფული. რედაქცია უმორჩილესად სთხოვს, რაც შეიძლება მალე გაუგზავნონ ეს ფული ზემოხსენებულს საზოგადოებას.

*** სოფ. ნატახაო (სენაკის მაზრა): ამ ჟამად ჩვენს სოფელში, თურქულა სჭირს საქონელსა. უფრო კამეჩებს ემართებათ, რის გამოც ბევრია ავად. პურის და ჭვავის მკას შეუდექით, მაგრამ სიუხვეს ცოტას ვატყობთ. წელს მაინც მთელს სენაკის მაზრაში მცირე მოსავალია. ახლა სიმინდზეა მიმდგარი ჩვენი საქმე, მაგრამ ესეც, სამწუხაროდ, ნაგვიანევია და ჯერ-ჯერობით-კი ვერაფერს იმედს იძლევა. გაგვიჭირა საქმე მოარულ ავადმყოფობამ. იშვიათია ისეთი ოჯახი, სადაც ყივანა-ხველით ავადმყოფი ბავშვი არ იწვეს ლოგინად. წითელა ცოტა დაცხრა... აქედ მშვენიერი ამინდებია. ივნისში ორჯერ წამოწვიმდა. მას აქეთ ჰაერი გრილია· ჯერ სიცხეები არ დაწყებულა...

*** ახალ-სენაკი: ჩვენს მოწყენილ დაბასაც ეწვია ტფილისის ქართულ თეატრის არტისტი ბ ნი ვ. ა. აბაშიძე. კვირას, 27 ივნისს, წარმოადგინეს „ტასიკო“, დრამატიული ეტიუდი 1 მოქმედ. ვ. აბაშიძისა, და ახალი პიესა „სწავლული ცოლი“, სცენა-მონოლოგი 1 მოქმედ. კუპლეტებით ვ. აბაშიძისა. დასასრულ, „ოინბაზი“, ვოდევ. 1 მოქმედ. მონაწილეობა მიიღეს ქ. არლანიამ, ბ-ნნთ აბაშიძემ, მჭედლიშვილმა და თამაზიშვილმა. წარმოდგენას დაესწრო ჩვენი საზოგადოება და ვინც-კი დაესწრო, ყველა დიდად ნასიამოვნევი დარჩა. უფრო მეტი დაესწრებოდა, თუ ბილეთების ფასი ნამეტანი აწეული არ ყოფილიყო. მოთამაშეებმა თავიანთი როლი სწორედ სანაქებოდ ჩაატარეს და საზოგადოებაც დიდს აღტაცებაში მოიყვანეს...

*** სოფ. მარტვილი (სენაკის მაზრა): ცხრამეტ ივნისს ჩვენს სოფელში შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა. ერთმა ამ სოფლის მცხოვრებმა თავისი ეხალგაზდა და სიცოცხლით სავსე ცოლი მოჰკლა. აი საქმე; როგორ იყო: ზემოხსენებულ რიცხვში, ნავახშმევს ცოლ-ქმარს რაღაცაზე ლაპარაკი მოუვიდათ. ამ ლაპარაკში ცოლს უთქვამს ქმრისთვის: „შენ სხვას ჰყვარობო“. ეს სიტყვა ქმარს არ სჭაშნიკებია და საქმე იქამდე გაუმწვავდათ, რომ ქმარმა ცოლს ხელით შეურაცხყოფა მიაყენა. უკანასკნელმა იწყინა ესა და სამაგიერო იმანაც უთავაზა. ქმარი გაცეცხლდა, მოავლო კისერში ხელი და დაარჩო. შემდეგ გვამი ცოლისა გამოიტანა გარედ და ხეზედ ჩამოჰკიდა. ეს ამბავი ადგილობრივ ბოქაულს და მამასახლისს მოხსენდა. ოქმი შეადგინეს და გამომძიებელს გარდასცეს. დამნაშავემ ყოველივე დანაშაული აღიარა.

წელს, როგორც სხვაგანაც, არც ჩვენკენ იყო ხეირიანი გაზაფხული მხვნელ-მთესველებისთვის. დროზედ ჭირნახული ვერ დავთესეთ, ხანგრძლივის გვალვებისა გამო. ამიტომ ნახევარზე მეტი ყანები ივნისში იქმნა დათესილი. ნაადრევ ჯეჯილსაც ჯერ-ჯერობით ვერაფერი პირი უჩანს.

*** ს. უწერა (რაჭაშია): ახალი ამბავი არ არის, რომ უწერის რკინის წყალი უებარი წამალია იმ ავადმყოფთათვის, ვისაცა აქვს: კუჭის და ტყილპის ავადმყოფობა, სისხლის ნაკლებლობა, ტანის სისუსტე და უმადობა. ამაზედ ბევრი რამე დაიწერა მცოდნე კაცებისაგან ჟურნალ-გაზეთებში. ნაკლი ედო ამ წყალს მხოლოდ იმით, რომ ავადმყოფს რიგიანი ბინა არა ჰქონდა, როცა აქ მოვიდოდა ზაფხულობით; არც აბანო იყო ხეირიანი, რომ რიგიანად ებანა. დღეს ყველა ეს მიზეზი თავიდამ აცილებული აქვს უწერის წყალს: ააშენეს ხის სახლები, გააკეთეს სასტუმრო ოთახები. ბ-ნ პ. კოკოჩაშვილმა ააშენა შარშან ქვითკირის მვენიერი ოთხ-თვალიანი აბანო, სადაც შეგიძლიათ იბანაოთ ცივსა და ცხელს რკინის წყალში. მისვლა-მოსვლა გაადვილებულია საფოსტო გზა-ტკეცილის წყალობით. უკანასკნელს ორსამ წლამდის ცხენით წასვლა გასაჭირი იყო; დღეს-კი ადვილად შეგიძლიათ არხეინად ეტლით წაბრძანდეთ. ხორაგეულობაც სალი და იაფია: ძროხის, ბატკნის, ციკნისა და შინაურ ფრინველების ხორცს ისე იყიდით, როგორც ქუთაისში ვყიდულობთ ხოლმე. მაწონი, კარაქი, რძე, ღვინო, პური და კეთილი გული, რაღა საკითხავია, არის და არის. ამიტომ—იმედია—წელს დიდ-ძალი ხალხი მოგროვდება უწერის მჟავე წყალზე. ღვინოს გვარიანად მოველით, განსაკუთრებით „იზაბელას“, თუ ბოლომდე შეგვრჩა.

*** ქუთაისი: იმერეთის სამღვდელოების კრების შესახებ უნდა მოგწეროთ კიდევ: მღვდელ-მთავრის ბრძანების შემდეგ, სამღვდელოება შეუდგა თავის საქმეს. კრების დაწყებამდე ზოგიერთებმა წარმოსთქვეს, რა მიზეზია, რომ წლეულს ჩვენის სასწავლებლიდგან ასე მცირე რიცხვი მოწაფეთა გაიგზავნა სემინარიაშიო. ვიშუამდგომლოთ ამისგამო და იმის შესახებაც, რომ, რაც შეიძლება, საეკლესიო წიგნები გაიაფდეს, რათა შეგვეძლოს მოპოვებაო.

კრება დაიწყო საღამოს ექვსს საათზედ. თავმჯდომარემ პირველად წაიკითხა სასწავლებლის მომავალ წლის ხარჯ-აღრიცხვა. სამღვდელოებამ მოსთხოვა თავმჯდომარეს, ეგ ხარჯი შეადარე წარსულს წლის ხარჯს და შეგვატყობინე, რა არის განსხვავებაო. თავმჯდომარე ბევრს ეცადა ამ ხარჯის ხარჯთან შედარებას, მაგრამ მისმა ცდამ უქმად ჩაიარა და ისევ ახალ ხარჯის სია წაიკითხა. კრებამ გადასწყვიტა: სასწავლებელთან დაარსებული პანსიონი გაუქმდეს, რადგან ამისათვის აღარ გვრჩება საკმაო ფულიო. სასწავლებელისა, ზედამხედველისა, იმის თანაშემწისა და საავადმყოფს შეშისათვის გადასდეს ორასი მანეთი. წყლისათვის, თვრამეტ თუმანის მაგიერ, დანიშნეს რვა თუმანი, ეკკლესიის საჭიროებისათვის, ას მანეთის მაგიერ, ოცი მანეთი, მღდელს ჯამაგირად, ოცის თუმნის მაგიერ, ხუთი თუმანი დაენიშნა.

*** ბათუმი: ბათუმში, თათრის ბაზარში, გაიმართა წიგნების სავაჭრო ფარდული, სიდაც იღებენ საკომისიოდ ყოველ გვარს ქართულ გამოცემასა და აგრეთვე სურათებს ქართველ საუკეთესო მწერლებისას და საქართველოს შესანიშნავ ადგილებისას. გამომცემლებმა თავიანთის პირობით უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით:

Книжная торговля Геронтія Каландадзе. Въ Батумъ, Татарскій базаръ.

—

შეცდომის გასწორება; გუშინდელს „ივერიის“ ნომერში, წერილში რედაქციის მიმართ, დაბეჭდილია: გეოგრაფია, ბიოგრაფიის მაგიერ და ნარისჯარაშვილი, ხარასჭარაშვილის მაგიერ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ბათუმი**, 30 ივნისს. სასიხარულოდ ჩვენდა, ბათუმის ქართველობას არ სძინავს ზოგიერთა ქვეყნის გულ-შემატკივართა მეოხებით. აი რა სასიამოვნო ამბავი უნდა გაცნობოთ: წრევანდლამდე აქაური ქართველობა მოკლებული იყო მშობლიურ ენაზედ წირვა-ლოცვის მოსმენას; წრეულს-კი აპრილიდგან მივიღეთ ნება კერძო ქართულ ტაძრის აგებისა და, ვიდრე ის აშენდებოდეს, მანამდე უნდა იწირვებოდეს ქართულად აქაურ საკრებულო ტაძარში, რომელშიაც ორი სამწირველოა. მართალია, აქ ცოტა დამაბრკოლებელი მიზეზია, სახელდობრ ისა, რომ ქართული წირვა უნდა გათავდეს რუსულის წირვის დაწყებამდე, ე. ი. 9 საათამდე, მაგრამ რა ვუყოთ, სულ არა-რაობას, ესეც კარგია. მიუხედავად ამისა, სავსეა მლოცავებით ტაძარი. მოვისმინეთ ქართულად წირვა, გავიგონეთ გასაგებ დედა ენაზედ ღვთის ვედრებ-დიდება, დავსტკბით სულიერად და ხორციელად. მაგრამ კაცი ხომ გაუმაძღარია, ქართულ—წირვასთან ქართული გალობაც მოვინდომეთ, აბა უიმისოდ, რა შნო ექნებოდა. ახლა მაგაზედ შევქენით წუწუნი, რატომ გალობა არ ვიცითო. დიაღ წუწუნი დავიწყეთ, აბა მეტი რა გვექნა მიწიერთ.

წარმოიდგინეთ ჩვენი სიხარული, თურმე გვყოლია ქვეყნის წარმატების მოსურნენი, რომელთ თხოვნასაც ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზმა გრიგოლმა კეთილ ინება და ნება დართო ამ საქმეში. დამტკიცდა კომიტეტი, რომელსაც ნება მიეცა, იზრუნოს და იღონოს ქართულ მგალობელთა გუნდის გამოსაწყობად. კომიტეტში მოჰყვნენ მღ. ს. თ—ძე, დიაკ. ის. ნადირაძე ბ-ნნი გრ. ვოლსკი, გედევანიშვილი, მ. ნიკოლაძე, ლომინაძე, ე. ბერძენიშვილი, მუმლაძე და საბაშვილი. კომიტეტის წევრნი გულმოდგინედ შეუდგნენ საქმეს. მოიწვიეს ცნობილი ბ-ნი ფ. ქორიძე და მიჰმართეს ახალ-გაზდობას: „აპა სერი მზა გიყოფიეს, მოვედით, სჭამეთ,“ რის სწავლებაშიაც ას მანათობით იხდიან, თქვენ უსასყიდლოდ მიიღეთო. ბევრი მიხვდა ამ კეთილ განძრახულ საქმეს და სიამოვნებით განაცხადა სურვილი გალობის შესწავლისა. ბ-ნი ქორიძე 20 ივნისიდგან შეუდგა საქმეს, ასწავლის გურულ კილოზედ ნოტებით, მგალობლები დადიან დილა-საღამოს, სიადვილისათვის იქვე ეძლევათ უფასოდ ჩაი პურით. მგალობელთ ემსახურება კომიტეტის ერთი წევრთაგანი. სულ ჯერ სწავლობს 15-მდე (უმეტესობა გურულებია). მათში ჰნახავთ ქაბუკს, ვაჟკაცს და ჭაღარა მოხუცსაც, შეამჩნევ კაკარდოსნებს, ვაჭარს, სასტუმროს პატრონს და ქარხნის მუშასაც.

ბ-ნი ქორიძე ეხლავე ბრწყინვალე მომავალს უქადის თავის შეგირდებს, აქებს მათ ნიჭს და წარმატებას გალობის საქმეში. გარეშე კომიტეტისა არავითარ ღონისძიებას არ ზოგავს და ყველაფრით ეწევა ამ საქმის წარმატებას ბ-ნი ექ. ს. ბერძენიშვილი. ეს ხომ სასიხარულოა და კიდეც გვიხარია, მაგრამ ერთი გვაღონებს: ნუ თუ ეკკლესიის ზოგიერთს მსახურთათვის არ არის საჭირო გალობის ცოდნა? თუ არის საჭირო, სად არიან? იმის მაგიერ, რომ დაეხმარნენ ამ საქმეს, რა ხმებს ავრცელებენ: ფულს ტყუილად დავხარჯავთ და გალობას-

---

და მოგება დარჩებოდა 12—15,000 ფრანკიო. ამდენი შემოსავალი რიგიანად აცხოვრებდა 120,000 კაცს, თითო ვაჭრის ოჯახში რომ 6 სული ადამიანი ვიანგარიშოთ და თითო მაღაზიაზე 4 ხოქარი. მაგრამ რა სათქმელია პარიჟის მაღაზიები ლონდონისა და ამერიკის მაღაზიებთან, სადაც ჯერ ისევ მცირედ ცნობილს მდიდრებს აქვთ მთელი ფლოტი გემებისა, მთელი უბნები საქონლის საწყობთა, მაღაზიები, რომელშიაც ასი ათასი ნოქარი ტრიალებს.

გაოცებული მკითხველი კვლავ მკითხავს, უეჭველია: როგორ და რა გზით იძენენ მაგოდენა სიმდიდრეს? ან რა მოხერხებისა და უნარის წყალობაა აგრეთი ბედი ზოგიერთებისაო? მოგახსენებთ, როგორა და რა გზითაც მდიდრდებიან.

მდიდრდებიან პირველად, იმიტომ, რომ საქონელს აიაფებენ და ყველასათვის ხელ-მისაწვდომ ფასად ჰყიდიან. „თითო არშინში მოიგე მეასედი კაპიკისა, მაგრამ გაჰყიდე მილიონი და ასი მილიონი არშინიო“, ამბობენ ქარხნის პატრონები და ვაჭარნი. მანჩესტერი იმიტომ შეიქმნა უმდიდრესი ქალაქი მთელს დედამიწის ზურგზედ, რომ აბრეშუმისა, წმინდა ტილოსა და ხავერდის მაგიერ ქვეყანა ჩითითა და მიტკალით შემოსა.

მდიდრდებიან, მეორედ, იმიტომ, რომ ტეხნიკა განვითარდა, ბევრგვარი მაშინა იქმნა მოგონილი, მიწერ-მოწერა გაადვილდა, სწრაფი შეიქმნა, მისვლა-მოსვლა გაიაფდა. 1840 წ. ევროპასა და ამერიკაში იყო 1.650,000 ორთქლის მაშინა, ხოლო 1887—უკვე 50 მილიონი! 50 წლის წინად ლონდონიდამ ნიუ-იორკამდე მისვლას უნდებოდნენ 27—29 დღეს, ეხლა-კი მეექვსე დღეზე ნიუ-იორკის ნავთსადგურში შედის მგზავრი. ამას გარდა ეხლანდელ ტრანსატლანტიკის გემს შეუძლიან თან წაიღოს 400 ვაგონი საქონელი და წაიყვანოს 1000 პასაჟირი, რაიცა აიაფებს გადატან-გადმოტანას 15-ჯერა და 20 ჯერ და აჩქარებს ფულის ტრიალს ერთი სამადა და ოთხად. 30 წლის წინად მგზავრობა შეეძლო მხოლოდ მდიდარს კაცს, ხოლო ეხლა, რაკი ასე სწრაფად დადიან გემები, მისვლა-მოსვლაშია ათი და ასი მილიონი კაცი. ყველასთვის გაადვილდა და ერთი ასად გაიაფდა მგზავრობა. და აი რაკი ამოდენა ხალხი მიდის და მოდის განუწყვეტლივ, რკინის გზის კამპანიებიცა და გემების საზოგადოებანიც, იღებენ რა კაპიკობით თითოეულ პასაჟირისაგან, იგებენ მილიონებს.

საზოგადოდ, ამ გზით გროვდება და ქუჩდება დიდი ფული, დიდი კაპიტალი. ხოლო თითოეულის კაცის ხელში გროვდება აუარებელი სიმდიდრე საბირჟო ოინების წყალობითა და კაპიტალისტების გაფიცვის მეოხებით. კაპიტალისტები გაიფიცებიან ხოლმე ჩვენდა საწინააღმდეგოდ, ჩვენ, უბრალო სიკვდილის შვილთა, გასაძარცვავად. და არა თუ მარტო ჩვენ წინააღმდეგ, არამედ მთელ სახელმწიფოთა წინააღმდეგაც-კი. ხოლო როცა ეს კაპიტალისტები შეიძენენ საკმაო სიმდიდრეს, ადვილად გადიქცევიან ხოლმე მონოპოლისტებად; იმათს ბრძანებაზეა მაშინ დამოკიდებული, რას რა ფასი დაედოს, რა მოსწონდეს და რა გემოვნება ჰქონდეს საზოგადოებას და სხვა. ხშირად ეს მონოპოლისტები გადიქცევიან ხოლმე ისეთ კაცთა ბრბოდ, რომლის ხელშიაც არის ინტერესები, სახელი და კეთილდღეობა თვით ისეთის მდიდარის სახელმწიფოსიც-კი, როგორიც არის საფრანგეთი.

ვეცდები მაგალითებით ავხსნა, როგორც თვით პროცესი აუარებელის სიმდიდრის გაჩენა-გაძლიერებისა, ისე ბირჟის ვეშაპთა გაფიცვისა, იმ ვეშაპთა, რომელნიც რამდენსამე დღეში აღატაკებენ ათასსა და ათი-ათას წვრილ კაპიტალისტებს, არყევენ ფას-მაზანდებს მთელს დედა-მიწის ზურგზედ და თავიანთ სურვილს კანონად სდებენ სახელმწიფოთათვის.

W. Vasiani

ლონდონი.

კი ვერ შევისწავლითო, ეგ საქმე უთუოდ ჩაიშლება, თორემ ჩვენც კი შევუდგებით გალობის სწავლასაო. გვიკვირს, რამ ჩააგდო ეს კაცები სასოწარკვეთილებაში. რად უშლიან ხელს საერო წარმატებას. იმედია, ბათუმელები ამ კრავის ტყავში გამოხვეულ საცოდავ არსებათ არ მიხედავენ და, როგორც გულ-და-ხელ გაშლილად მიეგებნენ, ისე დააბოლოვებენ ამ დიდად სასარგებლო საქმეს.

აპ—ნ ქა—ლი

---

**სოფ. დიდი-ჯიხაიში** (ქვემო იმერ.), 26 ივნისს. წლევანდელმა ზამთარმა და გაზაფხულმა თავის ქინქლიანობით თავი მოგვაბეზრა. ყოველ სამუშევარში უკან დავრჩით და ახლა გვალვა გვიწუხებს გულს. სწორედ ჩვენებური ანდაზა შეგვისრულდა, ზამთრის თვეებს ვემდურებოდით ცუდის ტაროსების გამო და გაზაფხულის თვეებმა თავის სუსხიანის და ცუდის დღეებით ზამთარი გვანატრა. ასე გასტანა თითქმის შუა მაისამდის, მერმე-კი ცამ პირი შეიკრა და ერთი რიგიანი წვიმა აღარ გვღირსებია, თუმცა-ღა-კი წამოშხუეფლავს ხანდისხან წვიმას, მაგრამ აგერ თითვე ნახევარია რაც მიწა წვიმით არ გაძღარა. მოგეხსენებათ, ჩვენი ერთად-ერთი მოსავალი სიმინდია და თუ სიმინდები შუა ივნისამდის დაუთესავი დარჩა, მერე მისი მოსავლის ლოდინი ტყუილია. საზოგადოდ, სიმინდი წელს ძლიერ გვიან დაითესა და, რაც დაითესა, ბევრგან გვალვის გამო ამოუსვლელი დარჩა. თუ ასე გასტანა კიდევ ერთი ან ორი კვირა, გვალვისაგან რაც დათესილებია, ისეც ამოიხრუკება და დავრჩებით ხელ-ცარიელები.

ჩვენში პურის მოსავალიც კარგი იცის, მაგრამ, არ იქნა, ჩვენებური ხალხი არ მოვიდა გონს, რომ პურიც ისე სთესოს, როგორც სიმინდი. თუ ვინიცობაა ერთის მოსავალი არ იქნა, მეორე მაინც იქნება, და იოლად წავა.

ჩვენში ათასამდე კომლი კაცია და მათში მეოთხედსაც-კი არ ექნება პური დათესილი და სამკალი. წელს პურის მოსავალი კარგი სჩანს და რაღა გვიშავს, რომ ნახევარი ჩვენი მინდვრები პურით იყოს დათესილი; მაშინ სიმინდი თუ გინდ სულაც ნუ მოგვივა წელს; ასეც არ იყოს, პურს უფრო კარგი ფასი აქვს ყოველთვის.

ღვინის მოსავალი დიდი ხანია გამოგვესალმა, მაგრამ, თუ ღმერთი შეგვეწია, მგონი, მოგვიბრუნდეს ხელახლად. წელს ვენახებს გვარიანად ასხია. ამის მიზეზი რა გახლდათ: ამ საუკუნის პირველ ნახევარში და მის წინად ჩვენს ქვემო იმერეთში ძალიან ღვინის მოსავალი იცოდა, მაგრამ ამ ოცი და ოც-და-ათის წლის წინად ჩვენში ვენახებმა ძლიერ იკლო, ასე რომ წინად მოსახლეს ორი-სამი ქცევა ვენახი ჰქონდა, და ხშირად უფრო მეტიც, რაკი მოსავალმა იკლო, ვენახს სულ აალო ხელი. ბოლოს ვენახები თითქმის აქა-იქ-ღა მოიძევებოდა. ვენახების შემცირებისა და მოუსავლობის მიზეზი ნაცარი და ვენაზე ვერას ავნებს; წინად-კი ჩვენში გათქმული იყო შავი „სამ-ჭაჭის“ ვაზი. დიაღ, მოაშენეს ვენახები სასინჯად და, რა ნახეს რომ ივარგისა, ისე მოსახლეს ვერ შეხვდები ჩვენსკენ, რომ ნახევარი ქცევა თუ არა, მესამედი მაინც არა ჰქონდეს. თუმცა მილდიუმ ის იყო ამაზედაც კინაღამ გული ააყრევინა, მაგრამ ამას მალე შეუგნეს.

ამ ორი-სამის წლის წინად ჩვენში ორმა თუ სამმა მემამულემ, კარგად არ მაგონდება, „ვერმორელის“ მანქანით მოასხურეს შაბი-ამანით თავისი ვენახები და სხვებსაც ურჩიეს, რომ მოესხურებინათ. მაგრამ მოგეხსენებათ, როგორის იჭვნეულის თვალით უყურებს ჩვენი ხალხი ამისთანა ახალ შემოღებულს საქმეს; პირველადვე ხმა გავარდა, რომ ჩვენში ღვინის მოსპობა უნდათო, და ვინც ამ წამლით ვენახს მოასხურებს, იმის ვენახი ამოხმებაო. მაგრამ უყურეს ერთს წელს, მეორეს და მესამე, რაკი ნახეს, რომ სასარგებლოა ვენახების წამლობა და არა საზარალო, თითონაც დაუწყეს წამლობა; წელს ბევრმა უწამლა ჩვენსკენ ვენახებს და ზოგიერთმა „ვერმორელის“ მანქანაც შეიძინა. ასე რომ ბევრი დარწმუნდა ახლა, თუ ვიშრომებთ, ჩვენში ღვინის მოსავალი კვლავ გაიღვიძებს, თუ რომ წყეული ფილოქსერა, რომელიც ზემო იმერეთს ანადგურებს, ჩვენც არ მოგვწვდა. მაგრამ, როგორც ხმა არის, ფილოქსერა დაბალ და ჭაობ ადგილებში ვერა ჰხარობსო და ამით ვიმედოვნებთ, რომ ვერას დაგვაკლებს. მოგეხსენებათ ქვემო იმერეთი დაბლობი ალაგია და შეიძლება ჩვენებურმა ციებ-ცხელებამ შეაშინოს ფილოქსერაც.

ჩვენ სოფელში ძლიერ ეტანებიან ჩვენი ქალები აბრეშუმის მოწევას; დადგება მაისი თუ არა, დიდ გაწამაწიაში არიან: საიდგან არ ეზიდებიან ფუთით და ხშირად ურმითაც თუთის ფოთოლს. მართლაც მათი შრომა, ერთი ხუთად თუ არა, ერთიორად მაინც-კი ჯილდოვდება, თუკი ცოტა მაინც ივარგისა აბრეშუმის მოსავალმა. წელს ისე ქალი არ დარჩენილა ჩვენში, რომ დიდი დარბაზი თუ არ ქონდა სავსე აბრეშუმის ჭიით, პატარა ქოხი მაინც სავსე იყო, და დიდ მოსავალსაც ელოდნენ, რომ ცოტა არ დაკლებულიყო აცახვის დროს. მოვლით აბრეშუმს ჩვენში დიდი მოვლა არა აქვს; ამისთვის აბრეშუმის მოსავალი მოვლაზედ არ არის დამყარებული, არამედ წელიწადზე. თუ ამინდებმა ხელი შეუწყეს, კარგი მოსავალი იქნება, და თუ ამინდმა უსუსტა, მოსავალიც აბრეშუმისა საეჭვოა. აბრეშუმის თესლი „ჩვენებურივე“ აქვთ, როგორც აქ უწოდებენ, და მოსავალიც მისი უმეტესია სხვაზედ; სხვაზედ მისთვის მოგახსენებთ, რომ აქ სხვა თესლსაც „იჯენენ“. ორი-სამი წელიწადი „ალოიზის“ თესლს „იჯენდნენ“ ზოგიერთები, წელს-კი კორსიკის თესლი ჰქონდა გამოწერილი ბ-ნ სანაძეს ხონში და რამდენიმე ყუთი (თითო ყუთში ექვსი მისხალია) ჩვენ სოფელშიაც გაიყიდა. ამ თესრიანად იხეირა. უნდა ვთქვათ სიმართლე, რომ კორსიკის თესლმა ბევრად აჯობა მაინც „ჩვენებურს“, რომელიც ძლიერ დაავადმყოფებულია. ფასიც მეტი აქვს კორსიკელ თესლის აბრეშუმის პარკს. სასურველია, რომ კორსიკელ აბრეშუმის თესლი ჩვენში გავრცელდეს, მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ერთი იმისთანა მცოდნე კაცი არ მოგვეპოვება, რომ აბრეშუმის თესლის აღება ისე იცოდეს, როგორც სწავლა-მეცნიერებას გამოუკვლევია. არ იქნებოდა ურიგო, აქაური მასწავლებლები, ერთ-ერთი, მაინც დასწრებოდა წელს ბ-ნ შავროვის ლექციებს ქ. ტფილისში და ცოტად მაინც შეესწავლა აბრეშუმის საქმე.

ორიოდე სიტყვა ჩვენს ბაზრობაზედ. მისი დამტკიცება აღწერილი იყო ჩვენს გაზეთში. ოთხი თვეა სწორედ, რაც ჩვენში ბაზრობა დაარსდა ოთხშაბათობით და რიგიანადაც მიდის მისი საქმე. ეკურთხა თუ არა საბაზრო მოედანი, მას მერმედ კვირე ისე არ გავა, ოროლ-სამსამი დუქანი ახალი არ შემოემატოს ჩვენს ბაზრის შენობებს; გარდა დუქნებისა, მოედანზე გამართულია ორმოცდა ათამდე კარავი, სადაც ბაზრის დღეს მოსული ვაჭრები თავის სავაჭროს შლიან. ეხლა გავიგეთ, როგორ თურმე ულმერთოდ ტყავს აძრობდნენ ხალხს ჩვენი ვაჭრები, აქამდე ერთიორად იღებდნენ ფასს ყველაფერში. დღეს ცხადად გვიჩვენა ბაზრობამ, რომ აქამდე ორ აბაზად ღირებული დღეს ერთ აბაზად და ხუთშაურად იშოვება. თუმცა აღებ-მიცემობის საქმე კარგად მიდის, მაგრამ არ შეიძლება ორიოდე სამდურავის სიტყვა არ ითქვას აქაურ წეს-წყობილებაზედ, რომელიც ჯერ ვერ დამდგარა ერთ დონეზედ. არ ვიცი კი, რა მიზეზია. იმედია, ვისიც ჯერ არს, ამ საქმესაც ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს. ყურადღების მიქცევის ღირსია აგრეთვე ერთი სენი, რომელიც ამ ბაზარს შემოეჩვია. გათავდება ბაზრობა თუ არა, ზოგიერთმა ყმაწვილებმა ჩვეულებად დაიდვეს დუქნებში ჩათრობა და საღამოს ხანს აყალ-მაყალის ატეხა. მაგალითად, წასულ ოთხშაბათს 23 ივნისს ამ ნაირ ჩათრობის შემდეგ ატყდა ერთი აყალ-მაყალი, ხან ერთ დუქანში მიცვივდებოდა ყმაწვილ კაცთა ბრბო და ხან მეორეში. ამ დროს დესეტნიკი მივარდა და ერთს მათგანს ემუდარებოდა, დამშვიდებულიყო, მან დამშვიდების მაგივრად იძრო ხანჯალი და ბარძაყში გაუყარა მომუდარე დესეტნიკს. ჭრილობა თუმცა სასიკვდილო არ არის, მაგრამ დიდს ექიმობას მოითხოვს.

გარეშე გლეხი

---

## წვრილი ამბავი

ნიუ-იორკის მახლობლად ახლ სავანი იდგა თურმე კონკის პლატფორმაზედ. კონდუქტორმა სთხოვა, ან ვაგონში შედი ან სულ გადადიო. სავინმ განუცხადა თურმე, მე აქა მსურს ვიდგეო. მაშინ კონდუქტორმა ხელი ჰკრა და მირს გადააგდო. სავინს ფეხი მოსტყდა და ოთხი თვე საავადმყოფოში იწვა. როცა მორჩა, კონკის გამგეობას უჩივლა სასამართლოში. სასამართლომ მიუსაჯა გამგეობას, ათი ათასი დოლარი გადაეხადნა სავინის სასარგებლოდ. გამგეობამ აპელაცია პალატაში გადაიტანა. პალატამ შეცვალა სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა კონკის გამგეობამ ათი ათასის მაგიერ გადაიხადოს ოცდა-ათი ათასი დოლარი სავინის სასარგებლოდაო.

— ამას წინად რუმინიაში მოხდა ებრაელთა კონგრესი. საგანი კონგრესისა იყო განხილვა და გამორკვევა იმ გარემოებისა, რომ რუმინიაში სამხედრო სამსახურის ებრაელებს რუმინიის, კანონის ძალით, ნება არა აქვთ, არამც თუ აფიცრობისა, უნტერ-აფიცრობისაც-კი. კონგრესმა გადასწყვიტა, მიჰმართოს რუმინიის პარლამენტს, რათა შეცვლილ იქმნას ეს კანონიო.

— ამას წინად ტრასტევერის საპატიმროში (იტალიაში) პატიმართა ამბოხება მოხდა. დიდი ხანი ითმინეს თურმე ტუსაღებმა საპატიმროს უფროსის სისასტიკე და ბოლოს ერთბაშად მილეწ-მოლეწეს ტახტები, სკამები, გაანგრიეს კედლები, დაარბიენეს მცველებს და გარედ ეზოში გამოცვივდნენ, მაგრამ ამ დროს სატუსაღოს უფროსმა მოიწვია ერთი რაზმი ჯარისა და ტუსაღები დააშოშმანა. სატუსაღოს უფროსს თავში ქვა მოარტყეს და ძლიერ მძიმედ დაჰკრეს.

— ამას წინად განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა სულთ-აღრიცხვა რუსეთში და აღმოჩნდა, რომ 1872—1882 წლებში რუსეთში სულ 9,458,132 უცხოელი ყოფილა. ამათში გერმანელი 4,871,571 სული, ავსტრიელი — 1,305,133, სპარსელი— 255,207, ფრანგი —122,771, ოსმალო—70,378, რუმინელი, ბოლგარელი და სერბიელი—41,878, ინგლისელი 20,691, იტალიელი—17,359, ბერძენი—14,885 და სხვა-და-სხვა ეროვნებისა—128,630 კაცი. ამათში გერმანელები მომეტებულ ნაწილად ეტანებიან: პეტერბურგს, მოსკოვს, ნიჟნი-ნოვგოროდს, რეველს; ფრანგები—ვარშავას, მოსკოვს, კიევს, ოდესას და პეტერბურგს; ავსტრიელები ვილნოს გუბერნიას, კიევს და პრივისლის მხარეს; ბერძნები, იტალიელები და ოსმალები სცხოვრობენ ოდესაში, ყირიმის ყველა ქალაქებში და კავკასიაში; ინგლისელები —ყველა სანავთსადგურო ქალაქებში და ამერიკელები—პეტერბურგსა და ოდესაში.

---

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ნება მიბოძეთ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით მადლობა გამოვუცხადო, როგორც ჩემის, აგრეთვე რწმუნებულის ჩემდამი წალენჯიხის ორ-კლასიანი სკოლის მოსწავლებლის მხრით ბ-ნს სერგი კონსტანტინეს ძეს ჭიჭინაძეს—წალენჯიხის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს,—რომელმაც სკოლას შემოსწირა რუსული და ქართული წიგნები ოცდა ათი ცალი, ღირებული ათ მანეთად; აგრეთვე მოსწავლეებსაც დაურიგა საჩუქრად, გამოცდის დროს, თვრამეტი წიგნაკი.

წალენჯიხის ორ-კლასიანის სკოლის მმართველი

ლადო გაგუა

1893 წ. ივნისის 10-ს

---

### II

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნთ მიახკოვსა და მარჯანოვს, რომელთაც შემოსწირეს ოთხი რუსული წიგნი ჩემ მიერ დაარსებულს წიგნთსაცავს ქ. ფოთში.

ლავრენტი ტუღუში

1893 წ.

26 ივნისი

---

# დეპეშა

30 ივნისი.

**პეტერბურგი.** გაზეთები იუწყებიან, რომ დამტკიცებულ იქმნა წესდება სასოფლო სამეურნეო ბიუროსი, რომლის დანიშნულებაც არის, ხელი მოუმართოს ყიდვასა და გაყიდვას ყოველ გვარ სამეურნეო იარაღისას; იშუამავლოს მრეწველთა და მყიდველთა შორის, დაეხმაროს მამულის პატრონ მოიჯარდრეთა არჩევაში, მამულების ყიდვა-გასყიდვაში, მისცეს რჩევა მამულების პატრონთ მაშინებისა და სამეურნეო იარაღის ყიდვაში და სხვა. ბიუროს დაარსების ნება მინიჭებული აქვთ სამეურნეო საზოგადოებათა და აგრეთვე მამულის პატრონთ.

გუშინ ლახტში ჩააგდეს საძირკველი ეკკლესიისა, სწორედ იმ ალაგას, სადაც რუსეთის ხელმწიფე პეტრე პირველმა ხალხი დაიხსნა დარჩობისაგან და ისე გაცივდა, რომ გარდაიცვალა.

1 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოცხადდა კონვენცია რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, ერთმანეთისადმი დამნაშავეთა გაცემის შესახებ, და პროტოკოლი კონფერენციისა.

Новое Время-ს გადმოცემით, რომ სავაჭრო კონვენცია ინგლისთან მალე დამთავრდება,

1 ივლისი

**პეტერბურგი.** 1 ივლისს მომხდარ ტირაჟში უმთავრესი მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს:

| №№ სერიის | №№ ბილეთის | მოგება |
|---|---|---|
| 13,465 | 17 | 200,000 |
| 13,837 | 44 | 75,000 |
| 14,661 | 27 | 40,000 |
| 857 | 38 | 25,000 |
| 18,605 | 8 | 10,000 |
| 2,044 | 32 | 10,000 |
| 5,121 | 18 | 10,000 |
| 5,759 | 42 | 8,000 |
| 4,983 | 15 | 8,000 |
| 13,346 | 24 | 8,000 |
| 2,790 | 10 | 8,000 |
| 6,896 | 30 | 8,000 |
| 782 | 1 | 5,000 |
| 4,273 | 2 | 5,000 |
| 14,331 | 7 | 5,000 |
| 2,950 | 5 | 5,000 |
| 9,091 | 20 | 5,000 |
| 19,632 | 38 | 5,000 |
| 17,325 | 7 | 5,000 |
| 16,687 | 48 | 5,000 |
| 13,989 | 40 | 1,000 |
| 1,579 | 7 | 1,000 |
| 19,099 | 4 | 1,000 |
| 5,842 | 28 | 1,000 |
| 6,427 | 31 | 1,000 |
| 16,557 | 35 | 1,000 |
| 9,445 | 21 | 1,000 |
| 5,977 | 39 | 1,000 |

| | | |
|---|---|---|
| 9,563 | 7 | 1,000 |
| 17,067 | 2 | 1,000 |
| 19,086 | 8 | 1,000 |
| 18,711 | 35 | 1,000 |
| 13,979 | 40 | 1,000 |
| 8,057 | 31 | 1,000 |
| 9,679 | 12 | 1,000 |
| 8,646 | 4 | 1,000 |
| 13,835 | 22 | 1,000 |
| 15,302 | 17 | 1,000 |
| 16,290 | 13 | 1,000 |
| 12,894 | 31 | 1,000 |

ეტერბურგის ბირჟა, 25 ივნისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,55 | 7,57 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 /2 | 151½ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| საძველმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 194¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — „ | 101¼ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | 100¼ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | 101¼ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | 100¼ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 98½ |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . . „ .. 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში; ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ; სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

---

# განცხადებანი

30 ივნისს 12 საათზედ ვიღამაც მოიპარა ორი პატარა ლეკვი (ძუკნა და ხვადი). ვინც იპოვნის და მოჰგვრის სვიმონ ნადირაძეს, სათავად-აზნაურო ბანკის ეზოში, ჯილდოს მიიღებს.

(1—1)

---

## პროგრამმა

### ტფილისის სათავად - აზნაურო მოსამზადებელ კლასებისა.

პირველს განყოფილებაში მიიღებიან უეგზამენოდ (7 და 8 წლისა).

II განყოფილებაში შემომსვლელთათვის (8 და 9 წლისა).

1) სადმრთო სჯული.

შემოკლებულნი მოთხრობანი ძველ და ახალ აღთქმიდან (იხილე „დედა-ენა“ მოთხრობანი საღმრთო სიტორიითგან). ლოცვები: დაწყებითი ლოცვა, სამების ლოცვა, ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილს შემდეგ, სულ ის წმიდის ლოცვა, საუფლო ლოცვა, ლოცვა მეფისა და მამულისათვის.

2)ქართული ენა.

კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვებით გარდმოცემა, ზეპირად ცოდნა იმ ლექსებისა და პასუხის მიგება იმ სასაუბროებზედ, რომელნიც მოქცეულნი არიან „დე და-ენის„ მეასე გვერდამდის.

3) რუსული ენა.

ცოდნა იმ სიტყვებისა და ფრაზებისა რომელნიც მოქცეულნი არიან იაკ. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს (Русское слово) ლექსიურ განყოფილებაში.

4) არითმეტიკა.

ყოველ-მხრივ შესწავლა რიცხვებისა 1-დგან 20-დის. ყმაწვილებს უნდა შეეძლოთ: შეერთება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა. უნდა იცოდნენ აგრეთვე ხშირად სახმარებელი ზომები.

III განყოფილებაში შემომსვლელთათვის (9 და 10 წლისა).

1) საღმრთო სჯული.

უმთავრესნი მოთხრობანი ძველისა და ახალის აღთქმისა. ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილს წინ და სადილის შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, საუფლო ლოცვა, პირველი და მეორე ლოცვა ღვთის მშობლისადმი, ლოცვა მეფისა და მამულისათვის, ლოცვები დილისა და საღამოსი (სახელმძღვანელო გ. იოსელიანისა ლოცვანი მისივე).

2) ქართული ენა.

გარკვევით კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვებით გარდმოცემა იმ მოთხრობებისა, რომელნიც მოთავსებულნი არიან „დედა ენაში“. ეს წიგნი სრულიად შესწავლილი უნდა ჰქონდეს ყველა თავის სავარჯიშოებით.

3) რუსული ენა.

გარკვევით კითხვა და წერა. თარგმნა სავარჯიშოებისა, რომელიც მოთავსებულია „Русское слово-ს პირველს ნაწილში. ამავე წიგნის მეორე ნაწილითგან უნდა ჰქონდესთ შესწავლილი არა ნაკლებ 40-ის მოთხრობისა, ისე რომ ყმაწვილს შეეძლოს ქართულად გადათარგმნა ყოველ სიტყვისა და ფრაზისა; ამას გარდა ყმაწვილს უნდა შეეძლოს ხსენებულ სტატიების შინაარსის გადმოცემა რუსულად როგორც მასწავლებლის კითხვების შემწეობით, ისე მისდა დაუხმარებლადაც.

4) არითმეტიკა.

ყოველ მხრივი შესწავლა რიცხვებისა 1-დან 100-დის და ხშირად სახმარებელის ზომების ცოდნა. ტაბულა ხამრავლებისა (სახელმძღანელო „კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა.“ რ. ჯაჯანაშვილისაგან შედგენილი).

IV განყოფილებაში შემომსვლელთათვის (10 და 11 წლისა).

1) საღმრთო სჯული.

მოთხრობანი ახლისა და ძველის აღთქმითგან, ლოცვები რუსულად და ქართულად. რუსულად: დაწყებითი ლოცვა, ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილის შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, პირველი და მეორე ლოცვა ღვთის მშობლისადმი, ლოცვა მეფისა და მამულისათვის. ქართულად: დილის ლოცვა, საღამოს ლოცვა, ათი მცნება, სიმვოლო სარწმუნოებისა (სახელმძღვანელო „საღმრთო ისტორია“, გ. იოსელიანისა).

2) ქართული ენა.

გარკვევით კითხვა და გარმოცემა წაკითხულის სტატიებისა თავის სიტყვით. დასახელება სიტყვის ნაწილებისა (სახელმძღვანელო „ბუნების კარი“).

3) რუსული ენა.

გარკვევით კითხვა და წაკითხულის ახსნა ქართულად და რუსულად; ერთის სიტყვის ან ფრაზის მაგივრად მეორე მზგავსის სიტყვის და ფრაზის ხმარება. წერა კარნახით (სახელმძღვანელოდ იხმარება. „Родное слово“, годъ второй, საიდგანაც უნდა შესწავლილი ჰქონდეს ყველა პატარა მოთხრობანი და რამდენიმე ლექსი ზეპირად წიგნის მეასე გვერდამდის). შესწავლილ სტატიების შინაარსის გადმოცემა რუსულად.

4) არითმეტიკა.

საზეპირო და წერით ანგარიში რიცხვებზედ 1—10,000 (ათი ათასამდის); ოთხი უმთავრესი მოქმედება (შეერთება, გამოკლება, გამრავლება ერთ ნიშნოვან რიცხვზედ, გაყოფა ერთ ნიშნოვან რიცხვზედ, ცოდნა გამრავლების ტაბულასი და ხშირად სახმარებელ ზომებისა. რუსულად: ახსნა საზეპირო ამოცანებისა 1—10,000(ერთიდგან ათი ათასამდის)(სახელმძღვანელოა „Сбрникъ Ариѳметическихъ задачъ“ Евтушевскаго, часть 1).

შენიშვნა: პირველ პროგიმნაზიულ კლასითგან დაწყებული ყველა პროგიმნაზიულ კლასებში მიღებულია საერო განათლების სამინისტროს პროგრამმები. ქართულ ენითგან უნდა იცოდნენ პირველ კლასებში შემოსვლელებმა: 1) გარკვევით კითხვა, წაკითხულის გარდმოცემა თავის სიტყვებით; 2) გრამატიკითგან: მარტივ წინადადების ნაწილები და ეტიმოლოგიითგან სიტყვის ნაწილების გამოცნობა.

---

## მამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

# ნ ა ვ ო ს ნ ო ბ ა,

### ვაჭრობა და სამთო მრეწველობა ივანე სიმონის ძის

## კ ო შ კ ი ნ ი ს ა.

**ბათუმის განყოფილება** ფირმის საპატიო მოქალაქის, ქ. როსტოვის (დონისა) 1 გილდის ვაჭარის **ს. ს. კოშკინისა** აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1893 წლის 1 აპრილიდგან ქალაქ ბათუმში დაარსდა განყოფილება ამ ფირმისა ყველა საქმეთათვის.

ნავოსნობა. მიიღება საქონელი ბათუმიდგან გასაგზავნად ოდესასა, ნიკოლაევსა, კერჩსა, როსტოვსა (დონზედ) და ამ ქალაქებიდგან ბათუმში.

სამთო მრეწველობა. დაარსდა საწყობი საუკეთესო თვისების ანტრაციტისა გრუშევსკის მადნებისა.

ვაჭრობა. ფირმის მაღაზიაში ისყიდება ნარდად და ცალ-ცალკე შემდეგი საქონელი:

I მასალა შენობისათვის: რკინა, ფოლადი, სხვა-და-სხვა ხარისხისა და სიდიდისა, სპილენძი, კალა, ტყვია, თუთია (ცინკი), ფანჯრებისა და კარებებისა კლიტე-გასაღებები და რაზები, ღუმელები, კარებები და სხვ., ცეცხლისაგან უშიშარი აგური და თუთია სხვა-და-სხვა ხარისხისა, საღებავი წამლები მშრალი და გაკეთებული, ლურსმები მავთულისა.

II ოჯახებისთვის: სამოვარები, ჩაინიკები, დანა-ჩანგალი და სხვა საგნები სპილენძისა, თუჯისა, რკინისა და ფოლადისა, ემალიანი ჭურჭელი, ზანდუკები ხისსა და რკინისა, კასსები, საწერი ქაღალდი ფოსტისა და შესახვევი და კანცელარიებისთვის საჭირო ნივთები.

III საგნები სამეხანიკო სახელოსნოებისთვის: ყოველ გვარი იარაღი დურგლებისა, ხარატებისა და ჩილინგდრებისა, ვინტები, გაიკები, ბოლტები, გრდემლები, ფუქსები მჭედლებისათვის და სხვ.

IV საგნები გემებისთვისა და სამთო მუშაობისთვის: თოკები კანაფისა და მავთულისა, ნიჩბები, ღუზა, ჯაჭვები, ლამფები, საწონები და სხვ.

V მეურნეობისთვის: გუთნები, სანიავებლები, სალეწები, ცელები, დუქარდები და სხვ.

ყოველ გვარი საქონელი ნაყიდია პირდაპირ ქარხნებიდგან და ამიტომ ფასები ძლიერ იაფია.

——— ვინც საქონელს დაიბარებს დაუყოვნებლივ გამოეგზავნება ———

ფირმა დიდი ხანია რაც არსებობს (1817 წლიდგან) და ამ დროს განმავლობაში არა ერთხელ დამტკიცდა, როგორ მტკიცედ ასრულებს თავის მოვალეობას და კეთილ სინდისიერად ვაჭრობს, რითაც დაიმსახურა სამაგალითო ნდობა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და კერძო კაცებისა, რომელთაც-კი საქმე ჰქონიათ ამ ფირმასთან.

სავაჭრო კანტორა იმყოფება ვიტუშინსკის სახლში, დონდუკოვ-კარსაკოვისა და სკობელევის ქუჩების ქიმში.

**ადრესი:** წერილებისთვის—Батумъ, Ивану Семеновичу Кошкину.

დეპეშებისათვის—Батумъ, Кошкину.

უმთავრესი კანტორა როსტოვშია (დონისა). განყოფილებანი და საააგენტოები ოდესასა, ნიკოლაევსა, სევასტოპოლსა, კერჩსა, ტაგანროგსა, პიატიგორსკსა და ეკატერინოდარში.

საკუთარი მადნები იმყოფება გრუშონსკში, დონის ოლქში.

Доз. ценз. Тифлисъ, 1-го Іюля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე